

ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი

პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამების

კ ა ტ ა ლ ო გ ი

ჩვენთან მიღებული

პროფესიული განათლება -

თქვენი დასაქმების გარანტიაა!

ბ ა თ უ მ ი

2017 წელი

ჩვენთან მიღებული პროფესიული განათლება - თქვენი დასაქმების გარანტია!

შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი“

მისია

შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი“ პროფესიული განათლების განვითარებითა და პოპულარიზებით უზრუნველყოფს საზოგადოების წინსვლას, პიროვნების პროფესიულ განვითარებას, მისი კარიერის ჩამოყალიბებასა და დასაქმების ხელშეწყობას; სასწავლებელი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით ამზადებს პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციურ კადრებს;

სასწავლებელს აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების კარგი გამოცდილება აქვს და კვლავ განაგრძობს ჯანდაცვისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით პროფესიული კადრების მომზადებას; ზრუნავს უწყვეტი და დინამიური თვითგანვითარებისათვის.

ჩვენი უმთავრესი მიზანია:

- გამოვიყენოთ არსებული პოტენციალი და სტუდენტებს შევთავაზოთ მაქსიმალურად ხარისხიანი განათლება, რაც მათ მისცემს წარმატებით დასაქმების საშუალებას როგორც შიგა, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.
- პროფესიული მასწავლებლებისათვის ღირსეული პირობების შექმნა და მათი პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;
- დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სისტემატიური სრულყოფა სტანდარტების შესაბამისად;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის სასიამოვნო და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა.
- სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორული ურთიერთობის დამყარება დამსაქმებლებთან და მათი მონაწილეობის ხელშეწყობა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.
- ურთიერთთანამშრომლობა საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრ კოლეჯებთან და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მოწინავეთა გამოცდილების გაზიარება;

ჩვენი პარტნიორები:

1. საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია
2. სსიპ - „შემოსავლების სამსახური“
3. შპს „ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია“ –BPA
4. სსიპ- საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“
5. სსიპ- პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“
6. შპს „ივიჯი“

7. შპს „სკოლა არილი“
8. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „საია“-აჭარის ფილიალი
9. შპს „დენტალ-გალერეა“
10. შპს „პრესტიჟ-აუდიტი“
11. შპს „გვირილა-2“
12. ფარმაცევტული კომპანია „ჰეკატე“
13. შპს „ბიოპოლუსი“
14. შპს „ნიუ თაიმ“
15. შპს „აისი“
16. შპს „დიანა“
17. შპს „სასტუმროების ქსელი რჩეული“
18. შპს „NEWLINE“
19. ს/ს „პოლიგრაფისტი“
20. შპს „დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის რესპუბლიკური ცენტრი“
21. შპს ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“
22. შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი“
23. შპს „ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკა“
24. შპს „ქ. ბათუმის №4 პოლიკლინიკა“
25. შპს „უნიმედი აჭარა“
26. შპს „აჭარის ა/რ ონკოლოგიური ცენტრი“

სასწავლებლის მატერიალური რესურსები

შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის“ მფლობელობაშია ოთხსართულიანი შენობა, სადაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლებისათვის მოწყობილია სასწავლო აუდიტორიები, თვალსაჩინოებებითა და სასწავლო მასალებით უზრუნველყოფილი - კბილის ტენიკოსის, ფარმაკო-ქიმიის და ანატომიის კაბინეტები. ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლებისათვის ფუნქციონირებს თანამედროვე კომპიუტერული აპარატურით აღჭურვილი 3 კაბინეტი, კომპიუტერული ტექნიკა უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. კომპიუტერები უზრუნველყოფილია სპეციალური სასწავლო პროგრამებით სპეციალობის მიხედვით. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მიზნობრივად გამოიყენება სასწავლებლის მენეჯმენტისთვის.



სასწავლებლის ბიბლიოთეკა პროფესიულ სტუდენტებსა და პერსონალს უზრუნველყოფს სასწავლო ლიტერატურითა და მეთოდური მასალებით. ყოველწლიურად ხდება საბიბლიოთეკო ფონდის შევსება თანამედროვე სასწავლო რესურსით. წიგნსაცავში დაცულია სასწავლო ლიტერატურა როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით. მათი გამოყენება შესაძლებელია სამკითხველო დარბაზში, სადაც პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის განთავსებულია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები. ბიბლიოთეკაში შესაძლებელია მასალების დასკანერება, ასლების გადაღება და ამობეჭდვა.

საჯარო ლექციების, კონფერენციებისა და სხვა სასწავლო ღონისძიებების მოსაწყობად გამოიყენება დარბაზი, რომელიც გათვლილია 50 ადგილზე.

ადმინისტრაციული პერსონალი და პროფესიული მასწავლებლები



სასწავლებლის ადმინისტრაციული პერსონალის მთავარი პრიორიტეტია - უზრუნველყოს ხარისხიანი და პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი, რომელიც განაპირობებს კურსდამთავრებულთა დასაქმებას კვალიფიკაციის შესაბამისად. ამ მიზანს ემსახურება სასწავლებლის პროფესიულ მასწავლებელთა დიდი ჯგუფიც. მათგან უმრავლესობა მაღალკვალიფიცირებულნი არიან, აქვთ მაღალი პრაქტიკული/საწარმოო გამოცდილება, შეუბღალავი რეპუტაცია და საუკეთესო შეფასებებს იღებენ სტუდენტთა გამოკითხვებით.

ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების საკონტაქტო ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე [www. Biu-profcollage.ge](http://www.Biu-profcollage.ge)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

საბაჟო წარმომადგენელი - მე-3 საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 60 პროფესიული კრედიტი;

პროგრამის ხანგრძლივობა: 40 კვირა (10 თვე);

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა 16 წლის ასაკს მიღწეული პირი, რომელსაც დაძლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური, რომელიც დასტურდება საბაზო ზოგადი განათლების ატესტატით ან უფრო მაღალი საფეხურის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით.

კონკურსის შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში პროგრამაზე ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭებათ იმ აპლიკანტებს, რომელთაც მიღებული აქვთ უფრო მაღალი შეფასება მათემატიკაში.

პროგრამის მიზანი:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მომზადდეს საბაზო წარმომადგენლის მესამე საფეხურის სპეციალისტი, რომელიც შეძლებს სასაქონლო ოპერაციების განხორციელებას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, სტანდარტული სავაჭრო დოკუმენტების შედგენას (კონტრაქტი, ინვოისი და სხვა), სატარიფო ღირებულების, საჭირო ლიცენზიების, ნებართვებისა და სერტიფიკატების განსაზღვრას, სასაქონლო ნომენკლატურის კოდის განსაზღვრას, კონკრეტული საქონლისა და სასაქონლო ოპერაციების მიხედვით გადასახადების სახეობებისა და განაკვეთების განსაზღვრას.

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საბროკერო კომპანიებში, ლოჯისტიკურ კომპანიებში, ინდუსტრიულ ზონებში, სერვისცენტრებში, საჯარო დაწესებულებებსა და კერძო კომპანიებში, რომელთა საქმიანობა უკავშირდება საზღვარზე საქონლის შემოტანა-გატანას.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება: იცის სასაქონლო ოპერაციების სახეები და მათი გამოყენების სპეციფიკა. იცნობს: სასაქონლო დეკლარაციებს და დეკლარირების ფორმებს, სასაქონლო ოპერაციების განხორციელებისას გამოყენებულ სავაჭრო, სატრანსპორტო და სხვა დოკუმენტაციის სახეებს; სატარიფო ღირებულების განსაზღვრის მეთოდებს, ინტეგრირებულ ტარიფს, ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის სტრუქტურას და მისი გამოყენების მთავარ პრინციპებს, გადასახადებსა და მათ განაკვეთებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შეუძლია: წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობის მიზნით სათანადო დოკუმენტაციის, სტანდარტული სავაჭრო დოკუმენტების შედგენა (კონტრაქტი, ინვოისი და სხვა), სატარიფო ღირებულების, საჭირო ლიცენზიების, ნებართვებისა და სერტიფიკატების განსაზღვრა, სასაქონლო ნომენკლატურის კოდის განსაზღვრა, კონკრეტული საქონლისა და სასაქონლო ოპერაციების მიხედვით გადასახადების სახეობებისა და განაკვეთების განსაზღვრა.

დასკვნის უნარი: შეუძლია: კლიენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ინფორმაციის მიღება და გადამუშავება; მონაცემების გადამუშავების პროცესში უზუსტობის აღმოჩენა, უზუსტობის გამომწვევი მიზეზების გამოკვლევა, მის ხელთ არსებული წყაროებიდან დამატებითი ინფორმაციის მოძიება და ანალიზი; მომხმარებელთა საჭიროების გააზრება.

კომუნიკაციის უნარი: შეუძლია: საქმიანი სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი

დოკუმენტაციის შედგენა ან არსებული შაბლონების სწორად შევსება, კორესპონდენციისა და დოკუმენტაციის გაგზავნა/მიღება თანამედროვე კომუნიკაციის ადეკვატური საშუალებებით; საგარეო ვაჭრობის საერთაშორისო ენაზე შესრულებული დოკუმენტებიდან საჭირო ინფორმაციის მიღება; MS Windows, MS Word, MS Excel-ის, ინტერნეტის გამოყენება; საჭიროების შემთხვევაში, მომხმარებელთან კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე.

სწავლის უნარი: შეუძლია სასაქონლო ოპერაციების მარეგულირებელ ძირითად აქტებში განხორციელებული ცვლილებების დამოუკიდებლად გაგება წინასწარი მითითებით.

ღირებულებები: მოქმედებს საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) პროფესიული ღირებულებების შესაბამისად, კერძოდ, მიუხედავად გარემოებებისა, იცავს: ინფორმაციის კონფიდენციალურობას, შრომის უსაფრთხოების წესებს, ეთიკურ ნორმებს.

საბაჟო წარმომადგენელი - მე-4 საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 60 პროფესიული კრედიტი;

პროგრამის ხანგრძლივობა: 40 კვირა (10 თვე);

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, რაც დასტურდება შესაბამისი დიპლომით ან კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აქვს მესამე საფეხურის შესაბამისი კომპეტენციების ფლობა.

პროგრამის მიზანი:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მომზადდეს საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) მეოთხე საფეხურის სპეციალისტი, რომელიც შეძლებს სამუშაოს დაგეგმვასა და მისი შესრულების პროცესში სანდო ინფორმაციის წყაროების გამოყენებას, შეიმუშავებს სტრატეგიას წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასებს მიღებულ შედეგებს შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით; შეძლებს სასაქონლო ოპერაციების განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით დასაბუთებული წინადადებების შემუშავებას პროცედურულ საკითხებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებით, მათი რიგითობისა და პრიორიტეტულობის დაცვით; სასაქონლო ოპერაციების განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციის მოპოვებას, მათი სანდოობის ხარისხის განსაზღვრას, შეგროვება- დაჯგუფებას, შეაფასებს საკუთარი საქმიანობის შედეგებს; მიღებულ შედეგებს გაანალიზებს და გამოიყენებს საკუთარი პროფესიული სრულყოფისათვის.

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საბროკერო კომპანიებში, ლოჯისტიკურ კომპანიებში, ინდუსტრიულ ზონებში, სერვისცენტრებში, საჯარო დაწესებულებებსა და კერძო კომპანიებში, რომელთა საქმიანობა უკავშირდება საზღვარზე საქონლის შემოტანა-გატანას.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება: იცნობს მეწარმეობის ძირითად პრინციპებს და მის სამართლებრივ გარემოს, ასევე საერთაშორისო ბიზნესის წარმოების სპეციფიკას; აქვს ზოგადი წარმოდგენა საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ბაზრის სტრუქტურისა და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესახებ; იცნობს საქართველოში მოქმედ საგარეო ვაჭრობის სატარიფო და არასატარიფო რეგულირების საშუალებებს, სავაჭრო პოლიტიკის ინსტრუმენტებსა და მათი გამოყენების პრინციპებს. იცის საქართველოს კანონმდებლობა სახმელეთო, წყლის და საჰაერო ტრანსპორტის სფეროში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შეუძლია სასაქონლო ოპერაციების განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით დასაბუთებული წინადადებების შემუშავება პროცედურულ საკითხებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებით, მათი რიგითობისა და პრიორიტეტულობის დაცვით; სასაქონლო ოპერაციების განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციის მოპოვება, მათი სანდოობის ხარისხის განსაზღვრა, შეგროვება- დაჯგუფება, აფასებს საკუთარი საქმიანობის შედეგებს; მიღებულ შედეგებს ანალიზებს და იყენებს საკუთარი პროფესიული სრულყოფისათვის.

დასკვნის შეუძლია: დამსაქმებლის საქმიანობის გააზრება და გათვალისწინება სასაქონლო ოპერაციების შესასრულებლად; კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, სატრანსპორტო, სასაქონლო, გეოგრაფიული და სხვა სპეციფიკის გათვალისწინებით შეუძლია პრობლემის იდენტიფიცირების გზით შესაბამისი მიდგომის შემუშავება და სავარაუდო შედეგების ანალიზი.

კომუნიკაციის უნარი: შეუძლია დისკუსიაში მონაწილეობა საგარეო ვაჭრობის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე; ახალი პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, არსებულის განახლება და მათი გამოყენება საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) პროფესიული ოპერაციების უკეთესად განხორციელებისათვის; ინგლისურ ენაზე საგარეო სავაჭრო საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.

სწავლის უნარი: გაცნობიერებული აქვს საგარეო ვაჭრობის სფეროში საქმიანობის დინამიკური ხასიათი და შეუძლია ცოდნის განახლების მიმართულებების განსაზღვრა, საჭირო ინფორმაციის წყაროების იდენტიფიკაცია.

ღირებულებები: საქმიანობისას პასუხისმგებლობით ეკიდება დისციპლინას, ქცევის დადგენილ ნორმებს და საკუთარ მოვალეობებს, კონფიდენციალურ ინფორმაციას, შრომის უსაფრთხოების წესებს.

ბუღალტერი - მე-3 საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 30 პროფესიული კრედიტი;

პროგრამის ხანგრძლივობა: 21 კვირა (5 თვე);

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც დაძლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური, რომელიც დასტურდება საბაზო ზოგადი განათლების ატესტატით ან უფრო მაღალი საფეხურის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით.

კონკურსის შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში პროგრამაზე ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭებათ იმ აპლიკანტებს, რომელთაც მიღებული აქვთ უფრო მაღალი შეფასება მათემატიკაში.

პროგრამის მიზანი:

ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამის მიზანია, მოამზადოს ბუღალტერ-მონაგარიშე, რომელიც სამეურნეო საქმიანობის სააღრიცხვო სამსახურში საგადასახადო სისტემის პრინციპებისა და პროცესების შესაბამისად შეძლებს პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და კრებისითი უწყისების შედგენას, ბუღალტრულ ანგარიშებში ბუღალტრულ გატარებას და ტიპური/გამეორებადი ოპერაციების ასახვას, დანერგილ საბუღალტრო პროგრამაში სამეურნეო ოპერაციების შეტანასა და კორექტირებას, საცდელი ბალანსის შესადგენი ნაშთების მომზადებას.

ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელი შეიძლება დასაქმდეს კერძო სამართლის იურიდიული პირების და სახელმწიფო დაწესებულებების სამეურნეო საქმიანობის სააღრიცხვო სამსახურში ბუღალტერ-მონაგარიშის პოზიციაზე.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება: აქვს სამეურნეო მოვლენების მიხედვით დოკუმენტების შედგენის, დოკუმენტირებული სამეურნეო მოვლენის საბუღალტრო ანგარიშებში ჩაწერის, საბუღალტრო ანგარიშებში ნაშთების გამოთვლის საცდელი ბალანსის შედგენის, საგადასახადო სისტემის ზოგადი პრინციპებისა და პროცესების, ასევე ბიზნესის სამართლისა და ეკონომიკის საფუძვლების ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შეუძლია: დათვლა, აღწერა, გაზომვა და გამოთვლითი სამუშაოების შესრულება; პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების შედგენა;

პირველადი დოკუმენტების საფუძველზე კრებისითი უწყისების შედგენა; ბუღალტრული გატარება, მინიშნებული ოპერაციების ასახვა ბუღალტრულ ანგარიშებში; ტიპური/განმეორებადი ოპერაციების დამოუკიდებლად ასახვა ბუღალტრულ ანგარიშებში;

დანერგილ საბუღალტრო პროგრამაში სამეურნეო ოპერაციების შეტანა, ოპერაციების კორექტირება; საცდელი ბალანსის შესადგენი ნაშთების მომზადება;

დასკვნის უნარი: შეუძლია ცალკეულ საბურალტრო ანგარიშებში თავმოყრილი ინფორმაციის დაჯგუფება, მათ ბაზაზე ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის აუცილებელი პერიოდული ანგარიშების მომზადება ცალკეული სააღრიცხვო ობიექტებისა და თემატიკის მიხედვით.

კომუნიკაციის უნარი: აქვს უნარი მოკლედ, ლაკონურად და გასაგებად დასვას პრობლემური საკითხი და იოლად აღიქვას განხილვისას გამოთქმული მოსაზრება.

შეუძლია მესამე მხარესთან სააღრიცხვო საკითხების გარკვევა; ამ შეუძლია სასაქონლო ოპერაციების მარეგულირებელ ძირითად აქტებში განხორციელებული ცვლილებების დამოუკიდებლად გაგება წინასწარი მითითებით.

სწავლის უნარი: შეუძლია საბუღალტრო საქმიანობის შესახებ ახალი ცოდნის მიღება და მომავალი კარიერის დაგეგმვისთვის სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.

ღირებულებები: იცნობს ბუღალტრის ეთიკის კოდექსის ძირითად ნორმებს. არის პუნქტუალური, მოწესრიგებული, კეთლისინდისიერი.

ბუღალტერი - მე-4 საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბუღალტრის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 30 პროფესიული კრედიტი;

პროგრამის ხანგრძლივობა: 20 კვირა (5 თვე);

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ის პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, რომელიც დასტურდება შესაბამისი დიპლომით ან კანონმდებლობით დადგენილი წესით ფლობს მესამე საფეხურის შესაბამის კომპეტენციებს.

კონკურსის შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში პროგრამაზე ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭებათ იმ აპლიკანტებს, რომელთაც მიღებული აქვთ უფრო მაღალი ქულა სპეციალობაში.

პროგრამის მიზანი:

პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს მეოთხე საფეხურის ბუღალტერი, რომელიც შეძლებს კონკრეტული ბიზნესის შესაბამისი საბუღალტრო ანგარიშთა გეგმის დაპროექტებას, შეასრულებს სამეურნეო შინაარსის ადეკვატურ საბუღალტრო გატარებებს, მიზნობრივად გამოიყენებს საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამის შესაძლებლობებს და სააღრიცხვო პროცედურების განხორციელებისას იმოქმედებს შეცვლილი ბიზნესგარემოს ადეკვატურად.

ბუღალტრის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელი შეიძლება დასაქმდეს კერძო სამართლის იურიდიული პირების და სახელმწიფო დაწესებულებების სამეურნეო საქმიანობის სააღრიცხვო სამსახურში ბუღალტერ-ტექნიკოსის პოზიციაზე.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება: ხშირად გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული მეთოდებისა და მიდგომების, საკალკულაციო აღრიცხვისა და საგადასახადო დაბეგვრის ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შეუძლია: სამეურნეო ოპერაციების შინაარსის ადეკვატური საბუღალტრო გატარებები; კონკრეტული ბიზნესის შესაბამისი საბუღალტრო ანგარიშთა გეგმის დაპროექტება; საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამის

შესაძლებლობების გათვალისწინება კონკრეტული ბიზნესის სააღრიცხვო პროცედურებზე მოსარგებლად; არსებული ვითარების გათვალისწინებით დასვას ამოცანა კონკრეტული სააღრიცხვო მოდულის შესაბამისად კომპიუტერულ პროგრამის მოდიფიცირებისათვის;

აქვს უნარი სააღრიცხვო პროცედურების განხორციელებისას იმოქმედოს შეცვლილი ბიზნესგარემოს (სამეწარმეო, საგადასახადო და ბიზნესთან დაკავშირებული სხვა კანონმდებლობაში ცვლილების შეტანით გამოწვეული) ადეკვატურად.

დასკვნის უნარი: შეუძლია ცალკეულ საბურალტრო ანგარიშებში თავმოყრილი ინფორმაციის დაჯგუფება, მათ ბაზაზე ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის აუცილებელი პერიოდული ანგარიშების მომზადება ცალკეული სააღრიცხვო ობიექტებისა და თემატიკის მიხედვით.

კომუნიკაციის უნარი: შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიის წარმომადგენლებთან შეცვლილი ბიზნესგარემოს ან/და ანგარიშების პრინციპების სააღრიცხვო პროცედურებზე მოსალოდნელ გავლენასთან დაკავშირებით. აქვს უნარი მოიძიოს და მიიღოს მონაწილეობა პროფესიასთან დაკავშირებული საკითხების ფორუმზე განხილვებში. ამ მიზნით გამოიყენოს უცხოენოვანი ფორუმი და სხვა საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. აქვს უნარიათვისოს საბანკო მომსახურების (ბანკი-კლიენტი) პროგრამები და გამოიყენოს იგი მისთვის მინდობილი ფუნქციების ფარგლებში.

სწავლის უნარი: შეუძლია ბუღალტრული აღრიცხვისა და საგადასახადო დაბეგვრის სფეროში სიახლეების შესაბამისად დამოუკიდებლად მოიძიოს და დაგეგმოს საკუთარი ცოდნის განახლების საშუალებები.

ღირებულებები: პასუხისმგებლობით ეკიდება ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენტურობის, ვალდებულების შესრულებისა და კონფიდენციალობის დაცვის პრინციპებს და ნებისმიერ სიტუაციაში მოქმედებს მათ შესაბამისად.

ოფისის მენეჯერი - მე-3 საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ოფისის მენეჯერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 60 პროფესიული კრედიტი;

პროგრამის ხანგრძლივობა: 39 კვირა (10 თვე);

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ის პირი, რომელსაც დამლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური, რომელიც დასტურდება საბაზო ზოგადი განათლების ატესტატით ან უფრო მაღალი საფეხურის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით.

ჩარიცხვა მოხდება გასაუბრებით, კონკურსის შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში პროგრამაზე ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭებათ იმ აპლიკანტებს, რომელთაც მიღებული აქვთ უფრო მაღალი შეფასება მათემატიკაში.

პროგრამის მიზანი:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მომზადდეს ისეთი კადრები, რომელთაც ექნებათ საქმისწარმოების, ოფიციალური დოკუმენტაციის შედგენის, მიღებული დოკუმენტების კლასიფიკაციის, რეგისტრაციის და მათთან მუშაობის შესახებ ცოდნა. შეეძლება სხვადასხვა სახის გასაგზავნი დოკუმენტების პროექტების მომზადება დამოუკიდებლად, საქმეთა ფორმირება არქივისათვის და სხვა საოფისე მომსახურების ორგანიზება.

ოფისის მენეჯერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელი შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში, სადაც მიმდინარეობს საქმისწარმოება.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება: ოფისის მენეჯერმა იცის: სამუშაო ადგილის მოწყობის წესები; საოფისე მომსახურების ძირითადი სახეები; ადმინისტრაციული საქმისწარმოების წესები; საერთო და სპეციალური საქმისწარმოების წესები; დოკუმენტთა კლასიფიკაცია იურიდიული და პრაქტიკული დანიშნულების მიხედვით; ოფიციალური

დოკუმენტების შედგენა-გაფორმების (პირადი, სამსახურებრივი, საგან-მკარგულეზო, სააღმსრულებლო, საინფორმაციო, სპეციალური დანიშნულების) და მასთან მუშაობის წესები; საარქივო საქმეთა ფორმირების წესები; საერთაშორისო მიმოწერის სტანდარტები; სხვადასხვა ღონისძიების მოწყობის წესები; ადმინისტრაციული და შრომის სამართლის საფუძვლები; ტექსტის რედაქტირების საფუძვლები; პროფესიული ეთიკისა და ეტიკეტის წესები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: აღნიშნულ დისციპლინებში მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია: პირადი დოკუმენტების მომზადება; სამსახურებრივი

დოკუმენტების ინდექსირება, რეგისტრაცია და ოპერატიულად შენახვა; საკადრო, სპეციალური, საინფორმაციო და საზღვარგარეთ გასაგზავნი დოკუმენტების პროექტების მომზადება დამოუკიდებლად; ხელშეკრულებებსა და საკადრო დოკუმენტებზე მუშაობა; ინფორმაციის შეკრება, დამუშავება, შენახვა; მარტივი მონაცემთა ბაზის შექმნა, ელექტრონული დახარისხება და ფილტრაცია; დოკუმენტბრუნვის ორგანიზება; უდოკუმენტო მომსახურების ორგანიზაცია;

საოფისე მომსახურების (მივლინების, მუშაკის სამსახურში მიღებიჲ, სხდომების, საარქივო და სხვა დავალებათა) ორგანიზება; საარქივო მომსახურება და საქმეთა ფორმირება არქივისათვის; ღონისძიებების დაგეგმვა, ორგანიზება და მასთან დაკავშირებული მარტივი კალკულაციის წარმოება; ფლობს საოფისე ტექნიკას; ხელმძღვანელთან ერთობლივი მუშაობის რეგლამენტის დაცვა.

დასკვნის უნარი: შეუძლია: ინფორმაციის დაზუსტება და გადამუშავება; აქვს საკანონმდებლო აქტებში შეტანილი ცვლილებების ანალიზის უნარი; შეუძლია მონაცემების დამუშავების პროცესში უზუსტობების დადგენა და პრობლემის მოგვარება.

კომუნიკაციის უნარი: შეუძლია: ინტერპერსონალური კომუნიკაცია - სათანადო ახსნა-განმარტების მიცემა, ინფორმაციის გამოთხოვა, დაზუსტება და სხვა;

ინტერკულტურული კომუნიკაცია: სხვადასხვა საოფისე კომპიუტერულ პროგრამაში (MS Windows, MS Word, MS Excell, Power Point, Internet) მუშაობა მომხმარებლის დონეზე;

გამართული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სახელმწიფო ენაზე; უცხოურ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე B1 დონეზე.

სწავლის უნარი: შეუძლია: პროფესიული საქმიანობის შესახებ ახალი ცოდნის მიღება, პროფესიული განვითარებისათვის სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.

ღირებულებები: იცავს კონფიდენციალობასთან დაკავშირებულ ყველა წესსა და პროცედურას; არის კომუნიკაბელური, პუნქტუალური და მოწესრიგებული; პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობებს; აქვს კორპორაციული კულტურა.

ოფისის მენეჯერი - მე-4 საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 60 პროფესიული კრედიტი;

პროგრამის ხანგრძლივობა: 39 კვირა (10 თვე);

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ის პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს ოფისის მენეჯერის (მდივან - რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, რომელიც დასტურდება შესაბამისი დიპლომით ან კანონმდებლობით დადგენილი წესით ფლობს მე-3 საფეხურის შესაბამის კომპენტენციებს.

კონკურსის შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში პროგრამაზე ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭებათ იმ აპლიკანტებს, რომელთაც მიღებული აქვთ უფრო მაღალი ქულა სპეციალობაში.

პროგრამის მიზანი:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მაღალი კვალიფიკაციის ოფისის მენეჯერების მომზადება დაწესებულებებისათვის, რომელთაც შეეძლება საქმიანი შეხვედრების ორგანიზება; მედია და ინტერნეტ-განცხადებების მომზადება, კომერციულ კორესპონდენციაზე მუშაობა, ადმინისტრაციული საქმისწარმოება/გაფორმების სისწორის კონტროლი, დოკუმენტებზე საშემსრულებლო დისციპლინის ამაღლების ღონისძიებების შემუშავება.

ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელი შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში, სადაც მიმდინარეობს საქმისწარმოება.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება: ეცოდინება: ოფისის მენეჯმენტის საფუძვლები; სამუშაოს დაგეგმვისა და კონტროლის პრინციპები; მიღებული დავალების ანალიზისა და აღწერის წესები; საკანონმდებლო ბაზა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

შეეძლება: დროის ეფექტურად მართვა; საქმიანი შეხვედრების ორგანიზება; მედია- და ინტერნეტ-განცხადებების მომზადება; კომერციულ კორესპონდენციაზე მუშაობა ბიზნესწერილების მომზადება, ინვოისების შევსება, საოფისე მასალებისა და მომსახურების ხარჯთაღრიცხვა და სხვა); შემოსული დოკუმენტების განხილვა, ხელმძღვანელობისათვის წარდგენის ორგანიზება; ადმინისტრაციული საქმიანობა/გაფორმების სისწორის კონტროლი, მოქალაქეთა წინადადებებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობის ორგანიზაცია/; სტრუქტურულ ქვედანაყოფებში დოკუმენტებზე მუშაობის კონტროლის ორგანიზაცია; დოკუმენტებზე სამემსრულებლო დისციპლინის ამაღლების ღონისძიებების შემუშავება; საქმეთა ნომენკლატურის შემუშავება.

დასკვნის უნარი: შეუძლია წარმოშობილი პრობლემების ანალიზისა და გადაჭრის ხერხების მოძებნა.

კომუნიკაციის უნარი: აქვს უნარი გამოიყენოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (მათ შორის MS Access ; Outlook/); შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე.

სწავლის უნარი: სისტემატურად გაეცნობა საქმისწარმოების უახლეს ტექნოლოგიებს.

ღირებულებები: იქნება პუნქტუალური, მოწესრიგებული; დაიცავს საოფისე კულტურის წესებს; შეეძლება კომპენტენციის ფარგლებში კოლეგების კონსულტირება საქმისწარმოების საკითხებზე.

ინფორმაციული ტექნოლოგი - მე-3 საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 35 პროფესიული კრედიტი;

პროგრამის ხანგრძლივობა: 23 კვირა (6 თვე);

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ის პირი, რომელსაც დაძლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური, რომელიც დასტურდება საბაზო ზოგადი განათლების ატესტატით ან უფრო მაღალი საფეხურის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით.

ჩარიცხვა მოხდება გასაუბრებით, კონკურსის შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში პროგრამაზე ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭებათ იმ აპლიკანტებს, რომელთაც მიღებული აქვთ უფრო მაღალი შეფასება მათემატიკაში.

პროგრამის მიზანი:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტი, რომელსაც შეეძლება კომპიუტერის აწყობა, მოდერნიზაცია და გამართვა; დრაივერების ინსტალაცია და განახლება; ოპერაციული სისტემის შერჩევა კლიენტის მოთხოვნების საფუძველზე, მისი დაყენება, გამართვა და ოპტიმიზაცია; სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების

ინსტალაცია, განახლება და გამართვა; მონაცემთა აღდგენა; აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის დიაგნოსტიკა, წარმოქმნილი პრობლემების მიზეზის დადგენა და მის კვლიფიციური აღმოფხვრა; მცირე საოფისე ქსელების დაპროექტება და მოწყობა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების მესამე საფეხურის ტექნოლოგი შეიძლება დასაქმდეს კომპიუტერულ სერვისცენტრებში პრობლემების დისტანციური უზრუნველყოფის სპეციალისტად; მცირე და საშუალო ტიპის ორგანიზაციებში IT სპეციალისტის თანამდებობაზე, ხოლო პროფილურ ან დიდი მასშტაბის ორგანიზაციაში კომპიუტერული სისტემებისა და ქსელის ადმინისტრატორის თანაშემწედ.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება:

ეცოდინება: თანამედროვე კომპიუტერების არქიტექტურა; კომპიუტერების შიგა კომპონენტების დანიშნულება და მახასიათებლები; აპარატურული და პროგრამული უსაფრთხოების წესები; პერიფერიული მოწყობილობების გამართვა და მათი მუშაობის პრინციპები; ოპერაციული სისტემის დანიშნულება და მუშაობის პრინციპები; ოპერაციული სისტემის დაყენება და პარამეტრების განსაზღვრა, გაუმართაობების მიზეზების მოძიება და აღმოფხვრა; სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების მოწყობა; დამისამართება, გამტარუნარიანობა და მონაცემთა გადაცემა; ლოკალური ქსელის არქიტექტურა და ტოპოლოგიები; კომპიუტერული ქსელის მუშაობის პრინციპები და ქსელური სერვისების გამოყენება; აპარატურული და პროგრამული დიაგნოსტიკური საშუალებები და წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტის საკითხები;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

შეეძლება: კომპიუტერის აწყობა, მოდერნიზაცია და გამართვა; პროფილაქტიკური მომსახურება ფუნქციური შესაძლებლობების გაზრდის მიზნით; გაუმართაობების აღმოფხვრა და კომპიუტერების შეკეთება; პერიფერიული მოწყობილობების დამატება და გამართვა; დრაივერების ინსტალაცია და განახლება; ოპერაციული სისტემის შერჩევა კლიენტის მოთხოვნების საფუძველზე, მისი დაყენება, გამართვა და ოპტიმიზაცია; სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ინსტალაცია, განახლება და გამართვა; მონაცემთა აღდგენა; აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის დიაგნოსტიკა, წარმოქმნილი პრობლემების მიზეზის დადგენა და მისი კვლიფიციური აღმოფხვრა; მცირე საოფისე ქსელების დაპროექტება და მოწყობა. ქსელის ინსტალაცია და ტესტირება; ქსელური რესურსების კონფიგურაცია.

დასკვნის უნარი: ტექნიკური დათვალიერების ან კლიენტისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეეძლება წარმოქმნილ პრობლემის მიზეზების გააზრება, პრიორიტეტების განსაზღვრა და მათი კვალიფიციურებული აღმოფხვრა. საჭიროების შემთხვევაში დამატებით ინფორმაციას მოძიებს ინტერნეტის ან ტექნიკური დოკუმენტაციის გამოყენებით.

კომუნიკაციის უნარი: შეეძლება პროფესიულ თემებზე საუბარი კლიენტებთან, იმათგან ინფორმაციის მიღება პრობლემის შესახებ, კლიენტის კომპიუტერული პრობლემის განსაზღვრა; ახალი ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით, შესაბამისი პრეზენტაციების მომზადება და საკუთარი მოსაზრებების წარდგენა კოლეგებთან, ხელმძღვანელობასთან.

საჭიროების შემთხვევაში მარტივი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე.

სწავლის უნარი: დამოუკიდებლად შეძლებს პროფესიასთან დაკავშირებული ახალი ინფორმაციის მოძიებას, გარჩევასა და შესწავლას. ექნება პასუხისმგებლობა პროფესიული და კარიერული ზრდის თვალსაზრისით სწავლის შემდგომ გაგრძელებაზე.

ღირებულებები: ეცოდინება ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან მუშაობის იურიდიული და ეთიკური ასპექტები. კლიენტებთან ურთიერთობისას დაიცავს პროფესიული ქცევის ნორმებს, იქნება პუნქტუალური, მოწესრიგებული, დროულად და ხარისხიანად შეასრულებს მასზე დაკისრებულ სამუშაოს, დაიცავს უსაფრთხოების წესებს.

ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი - მე-3 საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 30 პროფესიული კრედიტი;

პროგრამის ხანგრძლივობა: 19 კვირა (5 თვე);

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ის პირი, რომელსაც დამლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური, რომელიც დასტურდება საბაზო ზოგადი განათლების ატესტატით ან უფრო მაღალი საფეხურის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით.

კონკურსის შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში პროგრამაზე ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭებათ იმ აპლიკანტებს, რომელთაც მიღებული აქვთ უფრო მაღალი შეფასება მათემატიკაში.

პროგრამის მიზანი:

ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მომზადდეს პრაქტიკულ ფარმაცევტულ-საინჟინრო საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, რომელიც შეიძლება დასაქმდეს მსხვილ და წვრილ ფარმაცევტულ საწარმოებში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია სამკურნალო ფორმებისა და ასევე ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების წარმოებასთან.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება: ეცოდინება ფარმაცევტული წარმოებისათვის აუცილებელი დისციპლინების, მათ შორის მათემატიკის, ქიმიის, პროცესებისა და აპარატების, წამალთა საქარხნო ტექნოლოგიის ძირითადი პრინციპები და ზოგადი კონცეფციები, წამალთა საქარხნო ტექნოლოგიების ძირითად საკითხები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: აღნიშნულ დისციპლინებში მიღებული ცოდნის საფუძველზე შეძლებს შეაფასოს დავალების შესასრულებლად აუცილებელი სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.

დასკვნის უნარი: სხვადასხვა რეჟიმით აპარატის მუშაობის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადასაწყვეტად შეძლებს ისარგებლოს ინფორმაციის არსებული წყაროებით, შეაფასოს და გაანალიზოს.

კომუნიკაციის უნარი: შეეძლება განსხვავებულ სიტუაციებში აპარატის მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია; ეფექტურად გამოიყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს აპარატის გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად; უცხო ენის ცოდნას გამოიყენებს სხვადასხვა სახის ტექნიკური ინსტრუქციებში გასარკვევად და კომუნიკაციისათვის.

სწავლის უნარი: მიღებული ცოდნის, მნიშვნელოვანწილად სპეციალური საინჟინრო საგნების-ფარმაცევტული მრეწველობის პროცესების, წამალთა საქარბნო ტექნოლოგიის და სხვათა საფუძველზე შეეძლება წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში-ცალკეული ტექნოლოგიური ოპერაციების ჩატარების, ოპერაციის ოპტიმალური პირობების დადგენის და სხვა მსგავსი ამოცანების გადაწყვეტის თვალსაზრისით საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.

ღირებულებები: განსხვავებულ სიტუაციებში, მათ შორის აპარატურის საგანგებო რეჟიმში მუშაობის და ავარიული სიტუაციების დროსაც შეძლებს იმოქმედოს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. ექნება პასუხისმგებლობის გრძნობა, დაიცავს ეთიკისა და მორალის პრინციპებს.

კბილის ტექნიკოსი - მე-3 საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 60 პროფესიული კრედიტი;

პროგრამის ხანგრძლივობა: 40 კვირა (10 თვე);

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ის პირი, რომელსაც დაძლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური და დასტურდება საბაზო ზოგადი განათლების ატესტატით ან უფრო მაღალი საფეხურის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით.

პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება გასაუბრებით; კონკურსის შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში პროგრამაზე ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭებათ იმ აპლიკანტებს, რომელთაც მიღებული აქვთ უფრო მაღალი შეფასება ბიოლოგიაში.

პროგრამის მიზანი: კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც შეძლებს კბილის გვირგვინების დეფექტების აღდგენას მოდელებით და ცვილის შეცვლას სათანადო ორთოპედიული ტექნოლოგიებით, ნახევარგვირგვინებით, ვინირებით და მთლიანი გვირგვინებით; კბილების ნაწილობრივი ან მთლიანი დაკარგვის შემთხვევაში შეძლებს

სათანადო მასალების შერჩევით მოუხსნელი ხიდისებური, ნაწილობრივი ფირფიტოვანი ან მთლიანი ფირფიტოვანი ორთოპედიული პროთეზების დამზადებას. კურსდამთავრებულს ეცოდინება საღებავ-სამეტყველო აპარატის თანდაყოლილი და შეძენილი დეფექტები, რომელთა ამოცნობას შეძლებს მოდელებზე და შექმნის ორთოპედიულ კონსტრუქციებს.

კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია იმუშაოს კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება: მესამე საფეხურის დასრულების შედეგად პროფესიულ სტუდენტს ეცოდინება: ადამიანის პირის ღრუს შემადგენელი ორგანოების ანატომიური აგებულება და ფუნქცია, ზედა და ქვედა ყბებზე კბილთა მწკრივები, მათი ამოცნობა ჯგუფობრიობის მიხედვით; კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში გამოყენებულ თანამედროვე საანაბეჭდო და ასევე პროთეტიკული მასალები; ძირითადი ტექნიკური და დამხმარე საშუალებები; წარმოდგენა ექნება ქიმიურ და ბიომექანიკურ პროცესებზე;

ეცოდინება საღებავ-სამეტყველო აპარატის თანდაყოლილი და შეძენილი ანომალიები, დეფექტები და დეფორმაციები, აგრეთვე მათი ამოცნობისა და რეაბილიტაციის საკითხები; მათი მკურნალობის აუცილებლობა აპარატურული, ანუ ორთოპედიული კონსტრუქციებით.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შეძლებს საანაბეჭდო მასალის შესატყვისი მეთოდით მომზადებას, ფანტომიდან ანაბეჭდის აღებას, მიღებული ანაბეჭდიდან თაბაშირით მოდელის ჩამოსხმას; ეცოდინება კბილის გვირგვინების დეფექტების აღდგენა მოდელირებით და ცვილის შეცვლა სათანადო ორთოპედიული ტექნოლოგიებით, ნახევარგვირგვინებით, ვინირებით და მთლიანი გვირგვინებით.

კბილების ნაწილობრივი ან მთლიანი დაკარგვის შემთხვევაში შეძლებს მოდელებზე სიტუაციის შეფასებას და მოუხსნელი ხიდისებური, ნაწილობრივი ფირფიტოვანი ან მთლიანი ფირფიტოვანი ორთოპედიული პროთეზების დამზადებას.

დასკვნის უნარი: შეძლებს განსაზღვროს თაბაშირის ან სხვა რომელიმე საანაბეჭდო მასალიდან მიღებული მასის საჭირო კონსისტენცია; დაიცავს პლასტმასების ტექნოლოგიური პროცესისათვის საჭირო რეჟიმს; შეაფასებს სამუშაო მოდელებზე სიტუაციას, გააკეთებს დასკვნას და შეარჩევს საბოლოო გეგმას. კბილების შეძენილი ან თანდაყოლილი დეფექტების შემთხვევაში გარკვეული დამოუკიდებლობით შეძლებს გააკეთოს დასკვნა და ცვილით მათი ფორმის აღსადგენად მიმართოს შესაბამის მეთოდს.

კომუნიკაციის უნარი: შეეძლება უცხოურ ენაზე კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებზე; სამუშაოს შესასრულებლად გამოიყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

სწავლის უნარი: შეძლებს დაგეგმოს და შეძენილი ცოდნის საფუძველზე შემდგომი სწავლის გაგრძელება.

ღირებულებები: გუნდის წევრებთან, კოლეგებთან, ხელმძღვანელებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობისას დაიცავს ეთიკურ ნორმებს, პასუხისმგებლობით შეასრულებს ნებისმიერ დავალებას.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კბილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 30 პროფესიული კრედიტი;

პროგრამის ხანგრძლივობა: 20 კვირა (5 თვე);

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ის პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, რომელიც დასტურდება შესაბამისი დიპლომით ან კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აქვს მესამე საფეხურის შესაბამისი კომპეტენციების ფლობა.

კონკურსის შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში პროგრამაზე ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭებათ იმ აპლიკანტებს, რომელთაც მიღებული აქვთ უფრო მაღალი ქულა სპეციალობაში.

პროგრამის მიზანი:

კბილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც შეძლებს კბილის სატექნიკო ლაბორატორიის სპეციფიკიდან გამომდინარე სამუშაოს დაგეგმვასა და შესრულებას; დამოუკიდებლად შეძლებს მოდელის ჩამოსხმასა და დამუშავებას; ეცოდინება ფაიფურისა და პლასტმასებზე მუშაობის მეთოდები და შეძლებს კბილის გვირგვინების დეფექტებისა და დეფორმაციების გამოსწორებას, მირჩილვას, შედუღებას, მეტალების დამუშავებასა და ჩამოსხმას.

კბილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია იმუშაოს კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება: ეცოდინება საღებავ-სამეტყველო აპარატის თანდაყოლილი და შეძენილი დეფექტები, დაზიანებები, დეფორმაციები; შეეძლება მოდელზე მათი ამოცნობა, ორთოპედიული კონსტრუქციების შესაქმნელად გეგმის შედგენა მასალებისა და ტექნოლოგიების შერჩევით; ეცოდინება როგორც მოუხსნელი, ასევე მოსახსნელი ორთოპედიული პროთეზების დამზადება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

შეძლებს კბილის სატექნიკო ლაბორატორიის სპეციფიკიდან გამომდინარე სამუშაოს დაგეგმვასა და შესრულებას; მუშაობის პროცესში წამოჭრილი ამოცანის გადასაჭრელად გამოიყენებს საინფორმაციო წყაროებს. ჩამოსხმამს სამუშაო მოდელს და დაამუშავებს; შეძლებს კბილის გვირგვინების დეფექტებისა და დეფორმაციების გამოსწორებას, მირჩილვას, შედუღებას, მეტალების დამუშავებას, ჩამოსხმას; ეცოდინება ფაიფურსა და პლასტმასებზე მუშაობის მეთოდები;

დასკვნის უნარი: შეძლებს ნებისმიერი ორთოპედიული კონსტრუქციის შესაქმნელად შეარჩიოს საჭირო ტექნოლოგია, განიხილოს გამოსაყენებელი მასალების ალტერნატიული შესაძლებლობები და გააკეთოს საბოლოო შედეგის დასაბუთებული ანალიზი.

კომუნიკაციის უნარი: შეეძლება გააზრებული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია კბილის სატექნიკო სამუშაოებთან დაკავშირებით. მიზნობრივად გამოიყენებს

საინფორმაციო- საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და უცხო ენის ცოდნას საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად.

სწავლის უნარი: შეძლებს შესაბამის სფეროში დამოუკიდებლად მოიძიოს სიახლეები და მომზადოს სწავლის შემდგომი საფეხურისათვის.

ღირებულებები: იცოდინება პროფესიასთან დაკავშირებით როგორც სამართლებრივი, ასევე დარგის ეთიკური საფუძვლები და . ნებისმიერ სიტუაციაში იმოქმედებს მისი საქმიანობისათვის დამახასიათებელი ნორმების შესაბამისად;

ფარმაცევტის თანაშემწე - მე-5 საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

პროგრამის მოცულობა: 120 პროფესიული კრედიტი;

პროგრამის ხანგრძლივობა: 76 კვირა (20 თვე)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პროგრამაზე დაიშვება ის პირი, რომელსაც მიღებული აქვს სრული ზოგადი განათლება, რაც დასტურდება ზოგადი განათლების ატესტატით ან უფრო მაღალი საფეხურის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით.

კონკურსის შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში პროგრამაზე ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭებათ იმ აპლიკანტებს, რომელთაც მიღებული აქვთ უფრო მაღალი შეფასება ქიმიაში.

პროგრამის მიზანი: მომზადდეს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც სათანადო ცოდნითა და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით აქტიურ წვლილს შეიტანს მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სფეროში.

ფარმაცევტული საქმიანობა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადი დარგია და საჭიროებს სათანადო პროფილის კადრებს. ფარმაცევტის თანაშემწე შეიძლება დასაქმდეს აფთიაქებში, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, ფარმაცევტულ ბაზებში, ფარმაცევტული პროდუქციის საწარმოებში, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური, წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიებში, სტომატოლოგიურ და სამედიცინო ტექნიკის მაღაზიებში.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება: ეცოდინება ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ზოგადი საფუძვლები; ფარმაცევტულ წარმოებაში და ანალიზურ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები; ფარმაცევტული ხსნარების, ფხვნილების, გამონაცემების, მონახარშების, მალამოების საჭიროებისამებრ მომზადების ზოგადი თეორიული საფუძვლები; წამლის ხარისხის კონტროლისა და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის თეორიული საფუძვლები; წარმოების საწყობში შემოსული ნედლეულისა და

მასალების მიღება, აღრიცხვა; მომზადებული პროდუქტის დაფასოება, შეფუთვა, მარკირება; სამედიცინო დანიშნულების საქონლის - საგნების, მასალების, შემავსებლის, დამხმარე და ძირითადი ნივთიერებების მიღება-განთავსება, შენახვის პირობების უზრუნველყოფა, სერიული აღრიცხვა და ვარგისობის ვადის კონტროლი.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: მიღებული ცოდნის საფუძველზე ფარმაცევტის თანაშემწე შეძლებს: ფარმაცევტული ხსნარების, ფხვნილების, გამონაცემების, მონახარშების, მალამოების დამზადებას აფთიაქში, ექიმის რეცეპტის შესაბამისად, ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით; წარმოების საწყობში შემოსული ნედლეულისა და მასალების მიღებასა და აღრიცხვას; ფარმაცევტული პროდუქციის, სამედიცინო დანიშნულების საქონლის მიღება-განთავსებას, შენახვის პირობების უზრუნველყოფასა და ვარგისობის ვადის კონტროლს; მესამე ჯგუფისათვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაციას; ფარმაცევტული ანალიზისათვის ლაბორატორიის მომზადებას; რეაქტივების, ინდიკატორების, ტიტრიანი ხსნარების, ბუფერული ხსნარების მომზადებას შესაბამისი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტის მიხედვით, ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით; ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ობიექტების გარეგნულ დათვალიერებას, შეფასებას, სინჯების აღებასა და დამუშავებას; წამლის ხარისხის კონტროლის და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის განხორციელებას ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით; შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებას;

დასკვნის უნარი: შეძლებს განსაზღვრული პრობლემების ამოცნობას, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირებასაც და ანალიზს; ფარმაცევტულ წარმოებაში წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანების გადასაწყვეტად გააკეთებს დასაბუთებულ დასკვნებს. ფარმაცევტული ნედლეულის, სამკურნალო საშუალებების, რეაქტივების და სამედიცინო დანიშნულების საქონლის შენახვის პირობების დარღვევის შესახებ გააკეთებს დასაბუთებულ დასკვნას და აღმოფხვრისათვის განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს;

გაკეთებს ფარმაცევტული ნედლეულის, სამკურნალო საშუალებების და რეაქტივების ვარგისიანობის ვადების კონტროლს და დასაბუთებულ დასკვნებს დროული რეალიზაციის ან ამოღების აუცილებლობის შესახებ.

კომუნიკაციის უნარი: შეეძლება ქართულ და უცხოურ ენებზე კომუნიკაცია, ინფორმაციის მიწოდება და ანგარიშის წარდგენა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის რეცეპტის მიხედვით სამკურნალო საშუალებების აფთიაქის პირობებში მომზადების ტექნოლოგიების, ფარმაცევტული, ნედლეულის, პროდუქციის და რეაქტივების ვარგისიანობის ვადებისა და მათი შენახვის პირობების შესახებ; მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდება მესამე ჯგუფისათვის მიკუთვნებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან დაკავშირებით. ექნება უნარი ეფექტურად გამოიყენოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ფარმაცევტული საქმიანობის უზრუნველსაყოფად;

სწავლის უნარი: შეუძლება ფარმაციის სასწავლო-საინფორმაციო რესურსების გამოყენება, საკუთარი სწავლის პროცესის მართვა; გააცნობიერებს და განახორციელებს საკუთარი პროფესიული განვითარების და ცოდნის განახლებას; ექნება საკუთარი ცოდნის

და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების უნარი. შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და პირადი ინტერესების გათვალისწინებით შეძლებს დამოუკიდებლად განსაზღვროს სწავლის გაგრძელების მიზანშეწონილობა.

ღირებულებები: მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას, განსაკუთრებული დამოკიდებულება ექნება სამკურნალო პრეპარატების სპეციფიკიდან გამომდინარე ხარისხის მოთხოვნებისადმი, აფასებს პროფესიულ ღირებულებებს და იცავს პროფესიული სფეროს შესაბამისი ეთიკის ნორმებსა და მორალის პრინციპებს.

წარმოების პროცესში მკაცრად იცავს უსაფრთხოების წესებს, განსხვავებულ სიტუაციებში, მათ შორის აპარატურის საგანგებო რეჟიმში მუშაობის და ავარიული სიტუაციების დროსაც იმოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. აქვს გუნდში მუშაობის ჩვევები.

პრაქტიკოსი ექთანი - მე-5 საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 150 პროფესიული კრედიტი;

პროგრამის ხანგრძლივობა: 95 კვირა (24 თვე);

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პროგრამაზე დაიშვება ის პირი, რომელსაც მიღებული აქვს სრული ზოგადი განათლება, რაც დასტურდება ზოგადი განათლების ატესტატით ან უფრო მაღალი საფეხურის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით.

კონკურსის შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში პროგრამაზე ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭებათ იმ აპლიკანტებს, რომელთაც მიღებული აქვთ უფრო მაღალი შეფასება ბიოლოგიაში.

პროგრამის მიზანი: პრაქტიკოსი ექთნის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მომზადდეს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც ექნება საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და ფლობს კლინიკურ უნარ-ჩვევებს, რის საფუძველზეც წარმატებით და გაცნობიერებულად შეასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს; იცოდეს და გაცნობიერებული ჰქონდეს საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები; იცნობდეს უსაფრთხოების წესებს, ინფექციის კონტროლის პრინციპებს და გაცნობიერებული ჰქონდეს ამ პრინციპების დაცვის აუცილებლობა უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით; ასევე იცნობდეს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს; ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გავრცელების პრინციპებს; გაცნობიერებული ჰქონდეს პრაქტიკოსი ექთნის როლი ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში, როგორც ინდივიდუალურად,

ასევე მულტიდისციპლინურ პროფესიულ გუნდში საქმიანობის კონტექსტში; იცოდეს მართვისა და ლიდერობის ძირითადი პრინციპები.

პრაქტიკოსი ექთნის დასაქმების სფერო მოიცავს სხვადასხვა დონის დიაგნოსტიკურ, სამკურნალო, პროფილაქტიკურ და სარეაბილიტაციო დაწესებულებებს, ჰოსპისებს.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება: ექნება საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით და გაცნობიერებულად შეასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს;

ეცოდინება: საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები; პრაქტიკოსი ექთნის დანიშნულება; უსაფრთხოების წესები, ინფექციის კონტროლის პრინციპები და ამ პრინციპების დაცვის აუცილებლობა უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით;

ეცოდინება, როგორ უზრუნველყოს პაციენტთა ტრიაჟი, პირველადი საექთნო შეფასება და მონიტორინგი; ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გავრცელების პრინციპები; გადაუდებელი მედიცინის საფუძვლები; თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების მიზნობრივად გამოყენება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: მიღებული ცოდნის საფუძველზე შეძლებს: პაციენტის ოპტიმალური, უსაფრთხო, კომფორტული და ეთიკური მოვლის/მართვის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფას, ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის ნორმისა და დევიაციის ნიშნების ამოცნობას, ტრიაჟს, პირველად საექთნო შეფასებას, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედების განხორციელებას;

შეეძლება პაციენტის სიცოცხლესთან დაკავშირებული რისკების დროული შეფასება და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედების განხორციელება; პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა; კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება, საექთნო შეფასების, პრობლემის იდენტიფიცირების, გეგმის შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის საფუძველზე; პაციენტის მართვის გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა ინვაზიური ჩარევებისა და არაინვაზიური პროცედურების მოვლა/წარმოება; მასზე დელეგირებული სამკურნალწამლო და სამედიცინო ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საშუალებათა დანიშნულებისამებრ გამოყენება, შენახვა და გამოყენებული მასალის განადგურება უსაფრთხოების წესების დაცვით; პაციენტის ღირსების, უფლებების დაცვა, ადვოკატირება და ასოცირებული ინფორმაციის კონფიდენციალობის უზრუნველყოფა; სამედიცინო გუნდში ეფექტური და კოორდინირებული მუშაობა; შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, შენახვა, დაცვა, გადაცემა და გავრცელება; საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სკრინინგ-ტესტების, ადექვატური პრევენციული ღონისძიებების ან/და იმუნიზაციის წარმოება; ჯანმრთელობის ხელშეწყობა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის გზით.

დასკვნის უნარი: მიღებული ცოდნის საფუძველზე ექნება უნარი დროულად ამოიცნოს პაციენტის მოვლის/მართვის გეგმის ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი გარემოებები და

დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით აღმოფხვრას ისინი; შესაბამისი კორექტივები შეიტანოს მოვლის/მართვის გეგმაში და ცვლილებები შეათანხმოს სამედიცინო გუნდის დანარჩენ წევრებთან;

კომუნიკაციის უნარი: შეძლებს მშობლიურ და უცხოურ ენებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია დაამყაროს სამედიცინო პერსონალთან, ჯანდაცვისა და სოციალურ მუშაკებთან, პაციენტებთან და სხვა ინდივიდებთან საექთნო საქმის ეფექტური განხორციელების მიზნით; გამოიყენებს კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებს შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის დროული და ზუსტი წარმოებისთვის, შენახვისა და დაცვისთვის, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, გადაცემისა და გავრცელებისთვის;

შესწევს უნარი გადასცეს და გაუზიაროს მიღებული ცოდნა და ინფორმაცია სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს, განახორციელოს ეფექტური თანამშრომლობა და კოორდინირებული საქმიანობა სამედიცინო და სხვა ტიპის პროფესიული გუნდის დანარჩენ წევრებთან.

სწავლის უნარი: დამოუკიდებლად შეძლებს განსაზღვროს საკუთარი ცოდნის დეფიციტი, პროფესიული სრულყოფის მიზნით მოიძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფს მის პროფესიულ განვითარებას და კარიერულ წინსვლას.

ღირებულებები:

იმოქმედებს საექთნო საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო და ადგილობრივი საკანონმდებლო და ეთიკური ნორმების შესაბამისად; მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას; კრიტიკულად მიუდგება საკუთარ საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში გაითვალისწინებს ადეკვატურ პროფესიულ შენიშვნებს, მითითებებსა და რეკომენდაციებს;

პროფესიული სტუდენტის დატვირთვა და მიღწევების შეფასება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის დატვირთვა გამოიხატება კრედიტით. ერთი კრედიტი ასახავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.

კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) თეორიის კომპონენტის ფარგლებში მოიცავს ლექციაზე დასწრებას /სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ითვალისწინებენ პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლებას სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის გავლის გზით, რომლის მოცულობა პროგრამაში ჯამურად პროგრამის მთლიანი მოცულობის არანაკლებ 40% შეადგენს.

საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების შეფარდება განისაზღვრება პროფესიული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

პროფესიული პროგრამით გათვალისწინებულია შეფასების მრავალკომპონენტური, 100 ქულიანი შეფასების სისტემა, სადაც დადებითი შეფასების მისაღწევად პროფესიულ სტუდენტს ევალება არანაკლებ 51 ქულის დაგროვება სასწავლო კურსის გავლის შედეგად.

გამოცდები ტარდება ზეპირად, წერილობით, ტესტების სახით ან კომბინირებულად. გამოცდის ჩატარების ფორმას განსაზღვრავს საგნის მასწავლებელი.

შუალედური და დასკვნითი გამოცდის შედეგი დადებითად ითვლება, თუ სტუდენტმა გადალახა ამ გამოცდისათვის გამოყოფილი ქულების 50%-იანი ზღვარი.

დასკვნით გამოცდაზე პროფესიული სტუდენტის დაშვების აუცილებელი პირობაა შუალედურ გამოცდაში/გამოცდებში დადებითი შეფასების მიღება;

დაუშვებელია სტუდენტის საბოლოო შეფასება დასკვნით გამოცდაზე დადებითი შედეგის მიღების გარეშე.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გავლის უფლება;

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტი, რომელმაც მთლიანად შეასრულა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნები, ჩააბარა ყველა გამოცდა და დააგროვა შესაბამისი კრედიტი ასრულებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის საფეხურს.

სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარებას ახორციელებს საკვალიფიკაციო კომისია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდეგ საკვალიფიკაციო კომისია განიხილავს სტუდენტთა პირად საქმეებს, შეისწავლის უწყისებს და იღებს გადაწყვეტილებას კურსდამთავრებულისთვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე. გადაწყვეტილებას ადასტურებს კოლეჯის დირექტორი მის მიერ ხელმოწერილი და კოლეჯის ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტით.

სასწავლო და საწარმოო პრაქტიკები

პროფესიული სტუდენტები
ორგანიზაციის ბაზაზე.

საწარმოო პრაქტიკას გადიან პარტნიორი





მდებარეობა და კონტაქტი

მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №3ა

ტელეფონი: 0422 29 41 34

ვებ გვერდი: [www. Biu-profcollage.ge](http://www.Biu-profcollage.ge)

ელ-ფოსტა: batumibds@gmail.com

სასწავლების ხელმძღვანელი პირები:

❖ დირექტორი: პროფესორი ამირან ტაკიძე

➤ ტელეფონი: 595 65 77 59

➤ ელ-ფოსტა: Takidze1958@mail.ru

❖ დირექტორის მოადგილე-პროფესიული პროგრამების მენეჯერი: იზოლდა ხალვაში

➤ ტელეფონი: 592 57 00 98

➤ ელ-ფოსტა: khalvashiizo@mail.ru

❖ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი: მანანა ხაბაძე

➤ ტელეფონი: 555 43 82 38

➤ ელ-ფოსტა: Xabadze67@mail.ru

ჩვენთან მიღებული პროფესიული განათლება - თქვენი დასაქმების გარანტიაა!